EASTERN PARTNERSHIP CIVIL SOCIETY FORUM

საქართველოს ეროვნული პლატფორმა
აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მმართველი კომიტეტისა და საქართველოს ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს განცხადება აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსის შედგენაში მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტთა წინააღმდეგ წარმოებული ცილისმწამებლური კამპანიის შესახებ

ბრიუსელი და თბილისი, 2024 წლის 31 იანვარი – აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მმართველი კომიტეტი და საქართველოს ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭო მკაცრად გმობენ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტების წინააღმდეგ აგორებულ ცილისმწამებლურ კამპანიას, რომლებმაც წვლილი შეიტანეს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ინდექსის 2023 წლის გამოცემაში.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მმართველი კომიტეტი და საქართველოს ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭო მიესალმებიან 2024 წლის 24 იანვარს აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ინდექსის 2023 წლის გამოცემის გამოსვლას და მხარს უჭერენ მისი პოლიტიკის რეკომენდაციებს. ჩვენ დადებითად ვაფასებთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსის შემუშავების პროცესში ჩართული სამოქალაქო საზოგადოების ყველა ექსპერტის მიერ გამოვლენილ სამუშაო ეთიკას. ცხრა გამოცემის მანძილზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსი იქცა აღმოსავლეთ პარტნიორობის თითოეულ ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმებისა და ევროკავშირთან მისი დაახლოების დონის შეფასების ერთ-ერთ ყველაზე ყოვლისმომცველ ანალიტიკურ ინსტრუმენტად.

აქედან გამომდინარე, შეძრწუნებულები ვართ იმ ცილისმწამებლური კამპანიით, რომელსაც ახორციელებს მმართველი კოალიციის წევრ პარტიასთან (მოძრაობა „ხალხის ძალა“)[1] აფილირებული მედია ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტთა წინააღმდეგ, რომლებმაც წვლილი შეიტანეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსის 2023 წლის გამოცემაში. ასევე სახიფათოდ მიგვაჩნია მმართველი პარტიის (,,ქართული ოცნება“) ცალკეული წევრების მიერ სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტთა მიმართ გაკეთებული ბოლოდროინდელი განცხადებები.

სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაციის მცდელობები, ჩვენი როგორც დამკვირვებლის როლის დაკნინება და აქტივისტების ქვეყნის „მტრებად“ წარმოჩენა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციურ ღირებულებებს და მის ვალდებულებებს ევროინტეგრაციის მიმართ. სამოქალაქო საზოგადოებისთვის ხელსაყრელი გარემო ნებისმიერი ჯანსაღი დემოკრატიისა და ევროკავშირში გაწევრიანების მისწრაფებების მქონე ქვეყნის ხერხემალია. სამოქალაქო საზოგადოებასთან ნდობის დამყარება, აკადემიური თავისუფლების წახალისება და დამოუკიდებელი ექსპერტებისა და

[1] საპარლამენტო ჯგუფი „ხალხის ძალა“ იყო „გარე გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის ინიციატორი, რომელმაც გამოიწვია დიდი ქუჩის პროტესტი საქართველოში 2023 წლის მარტში და საბოლოოდ მოხდა კანონპროექტის უკან გაწვევა.

აქტივისტების მიერ პოლიტიკასთან დაკავშირებით მოწოდებულ რეკომენდაციებზე კონსტრუქციული დისკუსიის უზრუნველყოფა მხოლოდ მთავრობის პოზიტიურ დღის წესრიგს და საბოლოოდ უფრო მტკიცე დემოკრატიას შეუწყობს ხელს.

მოვუწოდებთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსის ავტორების - სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტთა წინააღმდეგ აგორებული ცილისმწმაბელური კამპანიის ყველა განმახორციელებელს, შეწყვიტონ ცლისმწამებლური ქმედებები ზოგადად სამოქალაქო საზოგადოების, კონკრეტულად კი აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსის მომზადებაში ჩართული ექსპერტების მიმართ.

მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, გაითვალისწინოს სამოქალაქო საზოგადოების მიერ მოწოდებული შეფასებები და პოლიტიკის რეკომენდაციები საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებასთან დაკავშირებით და ჩაერთოს ღია და კონსტრუქციულ დიალოგში.

მოვუწოდებთ ევროპულ ინსტიტუტებს, ყურადღებით დააკვირდნენ საქართველოს მიერ რეფორმებისა და ევროინტეგრაციის მიმართულებით აღებული ვალდებულებების განხორციელებას, საქართველოს ევროპულ მომავალთან დაკავშირებული კონსულტაციების, დისკუსიებისა და დიალოგის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მთელი მრავალფეროვნებით ჩართულობის უზრუნველყოფასა და წვლილის შეტანას.

მოვუწოდებთ სამოქალაქო საზოგადოებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, სოლიდარობა გამოუცხადონ ყველა ექსპერტს, რომლებიც ცილისწამებლური კამპანიის მსხვერპლნი არიან როგორიცაა ადგილობრივი ქართველი აღმოსავლური პარტნიორობის ინდექსის შედგენაში ჩართული ექსპერტების წინააღმდეგ მიმართული კამპანია და საჯაროდ დაგმონ მსგავსი ქცევები.

„ჩვენ, დამოუკიდებელმა ქართულმა სამოქალაქო საზოგადოებამ, არაერთხელ დავამტკიცეთ ჩვენი ურყევი ერთგულება დემოკრატიული და ევროპული საქართველოს მიმართ. დაშინების, სიძულვილის ენისა და ცილისწამების გამოყენება დემოკრატიზაციის მიმართულებით ჩვენი მუშაობის, მათ შორის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსის შედგენაში ჩართული ექსპერტების მიერ ჩატარებული მნიშვნელოვანი მონიტორინგის სამუშაოების, გავლენის შემცირებისა და მარგინალიზაციის მიზნით, ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის მისწრაფებას გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი. სწორედ ამიტომ, მოვუწოდებთ ჩვენს ხელისუფლებას, დაიწყოს ღია დიალოგი სამოქალაქო საზოგადოებასთან და პატივი სცეს ჩვენს მრავალფეროვან პერსპექტივებს“. (**ნათია კუპრაშვილი,** აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველო კოორდინატორი).

EASTERN PARTNERSHIP
CIVIL SOCIETY FORUM

საქართველოს
ეროვნული პლატფორმა
აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მმართველი კომიტეტის წევრები
საქართველოს ეროვნული პლატფორმა